N 243 16/09/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.08.2016 წ.-დან 16.09.2016-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა:

1.ა(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ს დირექტორის ინფორმაცია“ კურორტ ურეკში ტრანსმისიურ დაავადებათა გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. კომისიის წევრებმა დეტალურად იმსჯელეს დღის წესრიგის საკითხზე, და აღნიშნეს, რომ ა(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ სერიოზული მუშაობა აქვს გაწეული კურორტ ურეკში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით , მაგრამ არსებობს პრობლემებიც, რომლებიც უნდა გადაწყდეს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთობლივი მუშაობით. ა(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ს დირექტორის ინფორმაცია“ კურორტ ურეკში ტრანსმისიურ დაავადებათა გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“მიღებულ იქნა ცნობად.

2. გადაწყვეტილება კომისიის სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა ცვლილების თაობაზე. კომისიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილია ხელმძღვანელთა შეცვლა. განათლების და ჯანმრთელობის საკითხთა ჯგუფის ხელმძღვანელად დამტკიცდა- ვლ.ვადაჭკორია, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების ჯგუფის ხელმძღვანელად დამტკიცდა- ბ.ლომჯარია, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის ჯგუფის ხელმძღვანელად დამტკიცდა- ბ.ღლონტი.

3. ინფორმაცია ფრაქცია „ კოალიცია ქართული ოცნება -კონსერვატორების“ თავმჯდომარის თ.ბურჭულაძის ინიციატივის შესახებ. აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარემ მოითხოვა მხარდაჭერა სოფელ ვაკიჯვარში არსებული რაგბის სტადიონისათვის ქ. ოზურგეთის ფეხბურთის სტადიონიდან დემონტირებული და დასაწყობებული სკამების ბალანსიდან ბალანსზე მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის საკითხში. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ინიციატივას და გადაწყვიტეს, რომ ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (მ.ჭანუყვაძე) მიმართოს ქ. ოზურგეთის მერიას ქალაქის ფეხბურთის სტადიონიდან დემონტირებული სკამების სოფელ ვაკიჯვარში არსებული რაგბის სტადიონისათვის გადაცემის მიზნით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია მ/წლის 6 სექტემბერს ასევე დიდი ინტერესით გაეცნო საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშებს მინდობით

აღზრდის და რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამების მონიტორინგის შესახებ. კომისიამ განიხილა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიმართ სახალხო დამცველის რეკომენდაციები და მოამზადა დასკვნა, რომლის საფუძველზე ვაცხადებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მხარს დაუჭერს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული ბავშვების სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო მედიკამენტებით/ სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსებით დახმარებას. გავითვალისწინებთ რეინტეგრაციის სერვისში ჩართული ოჯახების სოციალური გაძლიერებისათვის დამხმარე ქვეპროგრამებს, განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდებით სიღარიბის პირობებში მცხოვრებ რეინტეგრირებულ ბავშვებს და საჭიროების შემთხვევაში გავუწევთ დახმარებას ჯანმრთელობის დაცვის საკითხში თანახმად 2015 წლის 25 დეკემბრის № 43 დადგენილებისა. განვახორციელებთ აქტიურ საინფორმაციო კამპანიებს რეინტეგრაციის სერვისში ჩართული ოჯახებისათვის სოციალური გაძლიერების ქვეპროგრამებზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია კვლავაც გააგრძელებს მუშაობას მისი კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების შესასწავლად და წარმოადგენს დასკვნებს განსაზღვრული მიმართულებების შესახებ.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია